## თხრობითი ტექსტის გაგება-გააზრება

*დაკვირვებით წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს.*

# ცისფერი მაიმუნი

იყო ერთი მაიმუნი კოკო. სულ პაწაწა იყო, დედას რომ მოაცილეს. ჯუნგლები არასოდეს ენახა. ბანანი არასოდეს ეგემა. ყოველდღე მზესუმზირას უყრიდნენ და თავს იმით იქცევდა. ბუქნა და ტაშისცემა ისწავლა. საკმარისი იყო, მისთვის რაიმე პირის ჩასატკბარუნებელი მიეგდოთ, რომ მაშინვე პრანჭვა-გრეხას მოჰყვებოდა.

მაყურებლები ხითხითებდნენ. კოკოს კეთილი გული ჰქონდა და მათი სიცილი სიამოვნებდა.

ზოგჯერ გუნებაზე არ იყო კოკო. კუთხეში მიჯდებოდა, განმარტოვდებოდა, მაგრამ ვინ ასვენებდა? ჯოხს შემოუყოფდნენ გალიაში, უჩიჩხინებდნენ, ადექი, გაგვართეო.

ასეთ ყოფაში გადიოდა დღეები. ისინი ტყუპისცალივით ჰგავდნენ ერთმანეთს. კოკოს დროგამოშვებით რაღაც გაურკვეველი სევდა შემოაწვებოდა ხოლმე. მთელი ტანით აეკვრებოდა რკინის გალიას და ნაღვლიანად გაჰყურებდა ხეებს, კენწეროებით ზეცას რომ ელაციცებოდნენ. განსაკუთრებით გაზაფხულზე, აი, მაშინ, ტოტები ყვავილებით რომ გადაიპენტებოდა.

ერთხელ სურდო შეეყარა. მობუზული მიიკუჭა კუთხეში. ვიღაცამ მზესუმზირა და ასანთის ღერები შეუყარა, შოკოლადის ბრჭყვიალა ქაღალდებიც.

- აბა, ჰე, ჰოპლა! რას მობუზულხარ?- დაუტატანეს.

მათ გაუთავებელ შეძახილზე გაბრაზდა და დაიკივლა. მაყურებლებმა სიცილი დააყარეს.

შეურაცხყოფილი, მაგრამ მორჩილებით სავსე თვალებით შეხედა მათ კოკომ. ანაზდად აბეზრების ზურგს უკან პატარა ბიჭსა და მაიმუნს მოჰკრა თვალი. მაიმუნი აქეთ-იქით დახტოდა, თავის ჩრდილს ეთამაშებოდა. ბიჭი წკრიალა ხმით იცინოდა.

- ბობ, წამო, დამწყვდეული შენიანი განახო. ის ვერასოდეს გაეთამაშება თავის ჩრდილს, იმიტომ რომ გალიაშია.


LIVEWORKSHEETS

ბობი ადამიანივით ზეაღმართული წამოვიდა. გასაცოდავებულ კოკოს რომ შეხედა, შეკრთა. დაიბნა. შეშინებული თავის პატრონს აეკრა.

კოკომ ერთი ამოსუნთქვით შეათვალიერა ჟილეტსა და მოკლე შარვალში გამოწყობილი თვისტომი. გააოცა მისმა გარეგნულმა იერმა. ჯერ ცნობისწადილმა აიტანა. მერე რაღაც ძალამ ფეხზე წამოაგდო და გისოსებს მიაწყდა. რკინის გალიამ გზა ჩაუღობა. თავის სიცოცხლეში პირველად იგრძნო კოკომ თავი უბედურად.

„იქნებ, გავანგრიო გალია!"- ალივით მოედო ფიქრი. ძარღვებში სისხლი აუჩქროლდა. თათები წაავლო რკინებს. დაეჯაჯგურა, ვერაფერს გახდა. უძლურებით გამეფებული ჩუმი აღშფოთება ჯერ თვალებში აფეთქდა, მერე მის სულს მოედო. გულდათუთქული შედგა. აუხდენელმა წადილმა მუხლი მოჰკვეთა. ნაღვლიანად შეხედა ბობს. ახლა მისგან რაღაც ისეთის მოსმენა სურდა, რაც დაამშვიდებდა.

ბობი მიუხვდა სურვილს, მაგრამ სანუგეშო ვერაფერი უთხრა. ეს უთქმელობა ტკივილად დააწვა გულზე. შეეცოდა ტყვეობაში ყოფნით გასაცოდავებული თვისტომი. უკვე მეტის გაძლება აღარ შეეძლო. პატრონს სახელო ჩამოქაჩა, წავიდეთო. კოკოს თვალები ცრემლებით აევსო. ბობი პატიების ღიმილით დაემშვიდობა.

მეორე დღეს კოკო სულმოუთქმელად მოელოდა ბობის გამოჩენას. თვალებს აცეცებდა. გზისკენ ყურებით გული გადაელია. მესამე დღესაც ელოდა... მერეც... თითქმის ყოველდღე...

გალიის გარეთ ნებიერად მოსეირნე მაიმუნის ნახვამ ჯერ გააოცა, მერე თავის ხვედრზე ჩააფიქრა.

კოკოს ადრეც დაუნახავს ხეთა ჩრდილები, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია. ბობიმ თავის ლანდს რომ დაუწყო თამაში, მაშინღა დაიხედა ძირს. თვითონაც დაუწყო ძებნა საკუთარ ჩრდილს. თვალი ვერსად მოჰკრა და გაოგნებულმა გაიფიქრა: „ნეტავ სად წავიდა?" იმ დღიდან გამუდმებით ეძებდა. ბოლოს როგორც იქნა, მიხვდა, რომ არ ჰქონდა...

ბობი რომ არა, ეს ყოველივე სხვა დროს იქნებ არც გაჰკვირვებოდა. მაგრამ ახლა ამ აღმოჩენამ ისე შეაწუხა, გალიაში ჯიბრიანი ნაბიჯებით დაიწყო სიარული. თვალებს აცეცებდა, თავის ლანდს ეძებდა. აბა, ვინ ეტყოდა ან რა იცოდა, რომ ჩრდილი მზის გარეშე არ არსებობს. მზე კი მის გალიაში ვერ აღწევდა.


LIVEWORKSHEETS

სევდა და ფიქრი დასჩემდა კოკოს. ყველაფერი აითვალწუნა. მომსვლელებს გულგრილად შეჰყურებდა. ბავშვები რომ ეწვეოდნენ, მხოლოდ მაშინ გამხიარულდებოდა ხოლმე. და კიდევ, ზეცისაკენ თავაწვდილ ხეთა კენწეროები ხიბლავდა. მათი ყურება ახალისებდა. ფიქრმა ოცნება ასწავლა. ოცნებით გალიიდან გადიოდა. იქ, გარეთ, მზით გამთბარ ტოტებზე არბოდა და ჩარბოდა. ხან მიწაზე ჩამოხტებოდა, ხან ხის ლამაზ ჩრდილებს ეთამაშებოდა, თავისასაც. ო, რა ბედნიერი იყო მაშინ კოკო. ყველაფერი ეს გამოგონილი იყო. მაგრამ, რომ გეთქვა, ტყუილიაო, ძალიან ეწყინებოდა. კოკო ასეთი მეოცნებე ბობის ნახვის შემდეგ გახდა. და რა იცოდა, რომ ეს ლამაზი ოცნება თანდათან ასხვაფერებდა და ამშვენიერებდა.

და აი, ერთხელაც...

- ცისფერი მაიმუნი! ცისფერი მაიმუნი! - შემოესმა ბავშვების ჟრიამული. ტანზე დაიხედა და ჰოი, საკვირველებავ! ცისფერი მაიმუნი თურმე თავად იყო. ბალანი გაცისფრებოდა, გალამაზებულიყო. ყოველივე ეს ბავშვებზე მეტად თავად უკვირდა. „რა მოხდა, ნეტავ?“ - გაოცდა... რა იცოდა, რომ ლამაზმა ოცნებამ, თავისუფლებაზე გამუდმებულმა ფიქრმა გაამშვენიერა ასე.

---

*წაიკითხე შეკითხვები. შეარჩიე სწორი პასუხი და შემოხაზე შესაბამისი ასო (ა, ბ ან გ).*

**1. მოთხრობის დასაწყისში მაიმუნი კოკო არის:**

ა) მსუნაგი და ცელქი.
ბ) უდარდელი და მხიარული.
გ) ჭკვიანი და დაკვირვებული.

**2. „ნაღვლიანად გაჰყურებდა ხეებს, კენწეროებით ზეცას რომ ელაციცებოდნენ“. აქ სიტყვა <u>ელაციცებოდნენ</u> ნიშნავს:**

ა) ეალერსებოდნენ. ბ) ებაასებოდნენ. გ) სწვდებოდნენ.

**3. „ასეთ ყოფაში გადიოდა დღეები. ისინი ტყუპისცალივით ჰგავდნენ ერთმანეთს“. რომელი მხატვრული ხერხია გამოყენებული ამ წინადადებაში?**

ა) გაპიროვნება. ბ) ეპითეტი. გ) შედარება.


LIVEWORKSHEETS

**4. რომელი წინადადებიდან ჩანს კოკოს გარდაქმნის პირველი ნიშანი?**

ა) „ანაზდად აბეზრების ზურგს უკან პატარა ბიჭსა და მაიმუნს მოჰკრა თვალი“.

ბ) „გალიის გარეთ ნებიერად მოსეირნე მაიმუნის ნახვამ ჯერ გააოცა“.

გ) „შეურაცხყოფილი, მაგრამ მორჩილებით სავსე თვალებით შეხედა მათ კოკომ“.

**5. „ანაზდად აბეზრების ზურგს უკან პატარა ბიჭსა და მაიმუნს მოჰკრა თვალი“. აქ გამოთქმა <u>თვალი მოჰკრა</u> ნიშნავს:**

ა) გაბრაზებით შეხედა.

ბ) დაკვირვებით მიაშტერდა.

გ) უცაბედად დაინახა.

**6. რამ შეაკრთო ბობი?**

ა) გალიაში დამწყვდეული კოკოს მიმართ ადამიანების დამოკიდებულებამ.

ბ) იმან, რომ კოკომ თავის ჩრდილთან თამაში არ იცოდა.

გ) ტყვეობაში მყოფი გასაცოდავებული თვისტომის დანახვამ.

**7. კოკო თავის უბედურ ხვედრს ჩაუფიქრდა მას შემდეგ, რაც:**

ა) აბეზარი ბავშვების გამო შეურაცხყოფილად იგრძნო თავი.

ბ) გაზაფხულზე ტოტები ლამაზი ყვავილებით გადაიპენტა.

გ) გალიის გარეთ ნებიერად მოსეირნე მაიმუნი ნახა.

**8. რაზე მიანიშნებს ის, რომ „ბობი პატიების ღიმილით დაემშვიდობა“ თვისტომს?**

ა) ბობის შერცხვა, თავიდან გასაცოდავებული კოკოს დანახვამ რომ შეაშინა.

ბ) ბობი შეწუხდა, რომ ვერაფრით დაეხმარებოდა კოკოს.

გ) მობეზრდა იქ ყოფნა და უნდოდა, სასწრაფოდ გასცლოდა.

**9. „ბობი მიუხვდა სურვილს, მაგრამ სანუგეშო ვერაფერი უთხრა და ეს უთქმელობა ტკივილად დააწვა გულზე“, პერსონაჟის რა თვისება ჩანს ამ ფრაზით?**

ა) გაუბედაობა. ბ) გულისხმიერება. გ) მიხვედრილობა.



LIVEWORKSHEETS

**10. რომელია ფრაზეოლოგიური გამოთქმა?**

ა) „ბობი ადამიანივით ზეაღმართული წამოვიდა“.

ბ) „გაიფიქრა კოკომ და თვალები ცრემლით აევსო“.

გ) „გზისკენ ყურებით გული გადაელია“.

**11. რატომ ვერასოდეს გაეთამაშებოდა კოკო თავის ჩრდილს?**

ა) გალიაში მზის შუქი ვერ აღწევდა.

ბ) მას ამის სურვილი არ ჰქონდა.

გ) ჩრდილთან თამაში მან არ იცოდა.

**12. რა იყო კოკოს აუხდენელი წადილი?**

ა) ბობისთან თამაში.

ბ) ბობისნაირი ჟილეტის ქონა.

გ) თავისუფლებაში ყოფნა.

**13. რა ასწავლა კოკოს ფიქრმა?**

ა) ოცნება. ბ) სევდა. გ) ჯიბრიანობა.

**14. რამ გარდაქმნა კოკო?**

ა) ბავშვების ხშირმა სტუმრობამ და გართობამ.

ბ) ზეცაში თავაწვდილ ხეთა ყურებამ.

გ) ოცნებამ და თავისუფლებაზე გამუდმებულმა ფიქრმა.

**15. რა არის მოთხრობის მთავარი სათქმელი?**

ა) ბავშვებთან ურთიერთობას ბედნიერება მოაქვს.

ბ) ოცნება ყოველ სულიერს შეუძლია.

გ) ყველაზე დიდი ბედნიერება თავისუფლებაა.


LIVEWORKSHEETS